



**AQUAFIN®-IC**

Art.-No. 2 04220

კრისტალური წყალგამმლე სუსპენზია

<b>C E</b>	
SCHOMBURG GmbH&Co. KG Aquafinstraße 2-8 D-32760 დეტმოლდი 14 2 04220	
EN 1504-2 AQUAFIN-IC ზედაპირის დამცავი ნაწარმი ტენიანობის ბალანსის რეგულაციები ნორმა 2.2 (C)	
წყლის კაპილარული შწოვა და წყლის გამტარიანობა	w < 0.1 kg/m <sup>2</sup> x h0.5
წყლის ორთქლის გამტარიანობა:	კლასი I – SD < 5 m
შეწებების ძალა გაჭიმვის	≥ 1.0 N/mm <sup>2</sup>
შემოწმების მეთოდი:	კატეგორია E
რეაქცია ცეცხლთან:	კატეგორია E

აუცილებელია წყლის ანალიზი თუ სიმკვრივის დონე არ აღემატება 3 CdH ს. AQUAFIN-IC უძლებს ძლიერ ქიმიურ ზეგავლენას (დასხივების დონე XA 2 დან DIN 4030 მდე).

**ტექნიკური მონაცემები:**

- ბაზა : ცემენტი/ქვიშა, დანამატები
- ფერი: ნაცრისფერი
- კონცენტრაცია: 1.1 კგ/ლ
- შერევა: 25 კგ AQUAFIN-IC ირევა 6.75 დან 8 ლიტრამდე სუფთა წყალში
- შერევის დრო: 3 წუთი (იზილება 500-700 RPM სიჩქარით)
- გასქელების დრო: 30დან - 60 წუთამდე (23° C/60%)
- სუბსტრატის ტემპერატურა: +5° C დან +35° C მდე. შრობის დრო იმატებს და იკლებს მაღალი ტემპერატურის მიხედვით
- შეფუთვა: 25კგ ტომარა
- ხელსაწყოების გაწმენდა: გამოყენების შემდეგ სუფთა წყლით, მიმხმარი მასალისთვის გამოიყენეთ **ASO-Steinreiniger**.
- შენახვის ვადა: 12 თვე მშრალ და ყინვისგან დაცულ ადგილზე ორიგინალ შეფუთვაში. გახსნილი ტომარა გამოიყენეთ რაც შეიძლება სწრაფად.

*მასალის ხარჯი:*

- მშრალი ფენის სისქე: მინ. 0.8 მმ - 1.5 მმ
- მიწის ტენიანობა/დრენაჟის წყალი
- დაგუბების გარეშე: 0.75კგ/მ<sup>2</sup> 1 ფენაზე
- არა-ჰიდროსტატიკური
- წნევა: 1.2 კგ/მ<sup>2</sup> 2 ფენაზე
- შეწოვილი ნესტი /
- წნევის წყალი: 1.5 კგ/მ<sup>2</sup> 2 ფენაზე
- \*უსწორმასწორო სუბსტრატის შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს მასალის რაოდენობები

**მახასიათებლები:**

- აღწევს ბეტონის თითოეულ კაპილარში
- არის მუდმივმოქმედი
- შეგიძლიათ გამოიყენოთ სუბსტრატის დასატენიანებლად
- ქლორიდის გარეშე
- უძლებს მაღალ ჰიდროსტატიკულ წნევას
- ხელს უშლის კარბონიზაციას
- აღადგენს 0.4 მმ-მდე სიგანის ბზარებს
- **შემოწმებულია გერმანული DVGW W 347 და W 270 სტანდარტების მიხედვით**

**გამოყენების არეალი:**

- წყალგამტარიანობის საგარანტიოდ, როგორც შიგნიდან ისე გარე პერიმეტრზე, სარდაფებში, ლიფტის შახტებში, შენობის საძირკვლებში, საყრდენ კედლებში და ა.შ.
- წყალგამტარიანობის საგარანტიოდ სასმელი და სამომხმარებლო წყლის კონტეინერებში, წყლის შემნახველ ავზებში, წყლის ფილტრაციის საწარმოებში, ფარეხებში, გვირაბებში და სხვა.
- დუღაბის ქვეშ ჰიდროიზოლაცია (ეწ თვით დენადი ან იზოლირებული დუღაბის შემთხვევაში)

- წვიმას 24 საათის შემდეგ
- ფეხით გადავლას 5 საათის შემდეგ
- საძირკვლის თხრილის შევსებას 3 დღის შემდეგ
- კონტეინერების შევსებას დაახლოებით 7 დღის შემდეგ

**ტექნიკური მახასიათებლები:**

დაწოლის მიმართ  
(კომპრესული)

სიმტკიცე: დაახლ. 18 N/მმ<sup>2</sup> 7 დღის შემდეგ  
დაახლ. 21 N/მმ<sup>2</sup> 14 დღის შემდეგ  
დაახლ. 25 N/მმ<sup>2</sup> 28 დღის შემდეგ

გალუნვის მიმართ

სიმტკიცე: დაახლ. 6 N/მმ<sup>2</sup> 28 დღეში (ASTM C 580:96)

შეწებების ძალა: დაახლ. 1 N/მმ<sup>2</sup> (ASTM D 4541:2002)

წყალგამტარიანობა: მინიმუმ 13 ერთეული უარყოფით ან დადებით მხარეს (CRD-C 48-92, US) ის მიხედვით

**სუბსტრატის მომზადება:**

სუბსტრატი აუცილებლად უნდა იყოს მყარი, სუფთა და გააჩნდეს ღია კაპილარული სტრუქტურა. მისი ზედაპირი უნდა იყოს ფოროვანი, რათა მოხდეს ქიმიკატების შეწოვა ბეტონში ღრმად შესაღწევად. ჰორიზონტალურ მონაკვეთებში მისი ზედაპირი უნდა იყოს ხორკლიანი, გლუვი ზედაპირი კი აუცილებლად უნდა დამუშავდეს გაისხსნას კაპილარები მექანიკურად ისე, რომ მინარევმა შეძლოს ბეტონში საფუძვლიანად შეღწევა.

1. შეწებების ხელის შემშლელი მასალები როგორცაა მიწა, ძალიან თხელი ცემენტი, ყალიბის ზეთი, ცემენტის გამამყარებელი, არამყარი ნაწილაკები, საღებავი და ა.შ. უნდა მოშორდეს სუბსტრატს გახეხვით, წყლის ჭავლით ან სხვა მექანიკური მეთოდების მეშვეობით.
2. შვერილები, ღორღის ჯიბეები და სხვა დაზიანებული ზედაპირები აუცილებლად უნდა გასწორდეს ან მოშორდეს სუბსტრატს. სუსტი სახსრები და 0.4 მმ-ზე დიდი, თვალისთვის უხილავი ბზარები უნდა მოიფხიკოს 20 მმ სიგანის და 25 მმ სიღრმის ორმოს მისაღებად, რომელიც გასწორდება ASOCRET-IM - ს გამოყენებით. ასევე უნდა მოხდეს ასაწევი ხვრელების გაუხეშება.

3. წყლის ჟონვა უნდა შეჩერდეს **FIX 10-S ან Fix 20-T** ცემენტის გამოყენებით.
4. დაზიანებული ზედაპირები უნდა შეკეთდეს **INDUCRET-BIS-სისტემის ან ASOCRET-IM** - ის გამოყენებით, დაზიანებული კერის მიხედვით.
5. გამოიყენეთ **ASO-Joint-Tape-2000-S** და **AQUAFIN-RS300 ან AQUAFIN-2K/M** დამაკვშირებელი ადგილებისა და კონსტრუქციული ცივი ნაკერების დასამაგრებლად (იხილეთ შესაბამისი მინარევების ტექნიკური მონაცემთა ფურცლები)
6. ასევე რეკომენდირებულია **AQUAFIN-IC** გამოყენებამდე ზედაპირის სუფთა წყლით დასველება. სრული და სწორად გაჟღენთვისთვის შეიძლება საჭირო გახდეს მრავალჯერ დასველება, რაც ხელს შეუწყობს უფრო ღრმად შეღწევას. სუბსტრატი უნდა იყოს ტენიანი, მაგრამ არ შეიძლება ზედაპირზე იყოს წყლის მასა ან გუბეები.

**ნაწარმის მომზადება:**

ჩაასხით 6.75 დან 8 ლიტრამდე წყალი სუფთა კონტეინერში, გაურთეთ შესაბამისი რაოდენობის მშრალი დუღაბი და აურთეთ (500-700 RPM სიჩქარით) სანამ არ მიიღებთ ერთიან მასას. დუღაბში მასალის დამატება შეგიძლიათ მხოლოდ ხსნარის შექცევაზე. 3 წუთის გაჩერების შემდეგ აურთეთ დუღაბი კიდევ ერთხელ.

**ნაწარმის გამოყენება:**

*მშრალი მეთოდით გამოყენება:*

AQUAFIN-IC ახალი დასხმული ბეტონის ზედაპირზე უნდა მოასხათ წყლის რაოდენობის მიხედვით (იხილეთ „მასალის ხარჯი“). დიდი არეალისთვის რეკომენდირებულია კვადრატების დანიშვნა და კატეგორიულად დაყოფა. AQUAFIN-IC აუცილებლად უნდა მოასხათ საკმარისი რაოდენობით, რეკომენდირებული დოზებით. AQUAFIN-IC გამოიყენეთ როგორც კი ბეტონი დაიწყებს გამკვრივებას (მსუბუქი დაწოლა - 3-5 მმ სიღრმე). როცა AQUAFIN-IC სრულად შეიწოვს ბეტონის ტენს და ზედაპირი გამუქდება თანაბრად, დაიწყეთ ზედაპირის გასწორება მოხვეწის მეთოდით)

*ფუნჯით წასმა:*

მოასხით და წაუსვით AQUAFIN-IC ის 2 ფენა, შესაბამისი არეალის ზედაპირს სამშენებლო ფუნჯით. მასა გასწორეთ ზედმიწევნით და თანაბრად, რათა მინარევმა მოახერხოს სუბსტრატში ჩადწევა. მეორე ფენა წაუსვით სანამ პირველი წებვა დია და არ გამაგრებულია.

**სპრეის მეთოდით გამოყენება:**

AQUAFIN-IC შეგიძლიათ გამოიყენოთ შესაბამისი შესასხეფებელი მოწყობილობით მაგ. HighPump M8 (პერისტალტური ტუმბო), Highpump Small ან HIGHPUMP Pictor (სპირალური ტუმბო). სპრეის სისველის დონის მიხედვით შეასხურეთ ერთი ან ორი ფენა წრიული მეთოდით. მეორე ფენა მიაშხეფეთ სანამ პირველი წებვადია და არ გამაგრებულია.

**მოვლა და დაცვა:**

ა) გარე და მზისგან დაუცველ ადგილებში: შეინარჩუნეთ AQUAFIN-IC ნოტიო მდგომარეობაში მინიმუმ 3 დღე. დაიცავით წასმული ზონა მზისგან, ყინვისგან და ქარისგან. 1 დღის შემდეგ რამდენჯერმე, ინტერვალებით დაასველეთ AQUAFIN-IC ით დაფარული მონაკვეთი, თუ ის **პოლიეთილენით** არ არის დაფარული. ახალი წასმული ფენა უნდა დაიცვათ წვიმისგან მინიმუმ 24 საათი. მონაკვეთის ამოვსება შეგიძლიათ ბოლო ფენის წასმიდან 3 დღის შემდეგ.

ბ) ამინდისგან დაცულ ადგილებში და შენობებში: ნესტიან ადგილებში AQUAFIN-IC ის მოვლა ძალიან ადვილია. შედარებით მშრალ ადგილებში წასმული მონაკვეთი შეინარჩუნეთ ნოტიო მდგომარეობაში მინიმუმ 3 დღე. უზრუნველყავით ვენტილაცია 24 საათის განმავლობაში მასალის გამოყენებიდან.

გ) კონტეინერები და ავზები: შევსება შესაძლებელია 3 დღის შემდეგ. სასმელი წყლის კონტეინერის შემთხვევაში, უნდა მოხდეს გამოყენებამდე მისი საფუძვლიანი გამორეცხვა. სწორედ გამოყენების შემთხვევაში AQUAFIN-IC მუდმივმოქმედია.

**მნიშვნელოვანი რჩევები:**

- AQUAFIN-IC მოაშორეთ ადგილებს სადაც არ იყენებთ ამ ნაწარმს
- AQUAFIN-IC არ გამოიყენება როგორც მინარევი ბეტონისთვის და ბათქაშისთვის
- AQUAFIN-IC შემადგენლობაში შედის ქვანახშირის ფერფლი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბეტონის ფერის გამუქება. ქვანახშირის ფერფლი ASTM C-618 კატეგორია C - ს მიხედვით შეიძლება შეადგენდეს მასალის მაქსიმუმ 30%ს. CaO ს რაოდენობა კი ქვანახშირის ფერფლში არ უნდა შეადგენდეს 15%ზე ნაკლებს. სხვა დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ ტექნიკურ დეპარტამენტს.
- AQUAFIN-IC - ს და ბეტონის შემადგენელი კალციუმის ურთიერთქმედების შედეგად, წასმის შემდეგ, ზედაპირზე შეიძლება გამოიყოს მარილი, რომლის მოშორებაც შესაძლებელია ფუნჯით.
- ბეტონის სინოტივეზა დამოკიდებული თუ რა ფერს მიიღებს ზედაპირი სუსპენზიის წასმის შემდეგ.

- ბეტონის და AQUAFIN-IC ის ფენის დიდხანაი შეწებებისთვის აუცილებელია სიმძიმის წნევა მის ზედაპირზე. შეწებების ხელის შემშლელი ყველაწიანი მასალა სრულად უნდა მოშორდეს ბეტონს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, წყლის მაღალი ჭავლის (>400 ერთეული ) და ძალიან მაღალი ჭავლის (<2000 ერთეული) და მყარი სახეხების გამოყენება მიზანშეწონილი პროცედურაა. ყველაზე ბოლოს სასურველია გამოიყენოთ წყლის ჭავლის მეთოდი.
- წყლის კონტეინერებში სასურველი ტემპერატურაა +10 დან +15 c მდე. ცემენტის სრული ჰიდრაციის გარანტიისთვის, წასმული ფენა შეინარჩუნეთ ნესტიან მდგომარეობაში საჭირო დროით (მუდმივი სინესტე >80%) და დაიცავით გამოშრობისგან, რისთვისაც ძირითადად 7 დღე საკმარისია. აუცილებელია თავიდან აიცილოთ წყლის კონცენტრაციის დაგროვება ამ დროის მონაკვეთში. თუ ნესტი ძალიან მაღალია და არსებობს დანამზის საშიშროება და წყლის გუბების დაგროვება, დაახმარეთ საშრობები სანამ დულაბი არ გამაგრდება. თუმცა არ შეიძლება თბილი ჰაერის ნაკადის პირდაპირი დაბერვა.
- რათა გაახანგრძლივოთ მასალის გასქელების/გამოყენების დრო, მასალა შეინახეთ გრილ გარემოში +5C ს ზევით და გამოიყენეთ ტომრის გახსნიდან სწრაფად თუ ტემპერატურა მაღალია. თუ წყლის დამატება შესაძლებელი ან საჭიროა, გასქელების დროის გახანგრძლივება შესაძლებელია ცივი წყლის დამატებითაც
- AQUAFIN-IC ს შეიძლება დაჭირდეს ერთ თვემდე დრო, რათა მიაღწიოს მის მაქსიმუმ წყალგამტარიანობას. ამ პერიოდზე ზემოქმედებს ტემპერატურა, ნესტი, ცემენტის შემადგენლობა და ა.შ.

გთხოვთ დაიცვათ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნორმები!

